

დანართი

„დამტკიცებულია“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2018 წლის -- აპრილის N# განკარგულებით

საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმა

#	საქმიანობის დასახელება	საქმიანობის მოკლე აღწერა	საქმიანობის განხორციელების პერიოდი	საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების მომზადება და ჩატარება	ყოველი თვის პირველი კვირის პირველ ოთხშაბათს მოწვეულ იქნება საკრებულოს მორიგი სხდომა	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს აპარატი	
2	მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასვლითი სხდომის მომზადება და ჩატარება	მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე შეიძლება მომზადდეს და ჩატარდეს საკრებულოს გასვლითი სხდომა (სხდომები). გადაწყვეტილებას გასვლითი სხდომის ჩატარებაზე იღებს საკრებულო ან საკრებულოს ბიურო	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს აპარატი	
3	მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომების მომზადება და ჩატარება	როგორც წესი საკრებულოს ბიუროს სხდომა იმართება თვეში ორჯერ მაინც, სადაც ზუსტდება მომავალი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს აპარატი	
4	მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის სხდომების ორგანიზება და მოწვევა	მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის მუშაობის გააქტიურება არსებული პრობლემების უფრო კვალიფიციური განხილვა, მათი გადაჭრის გზებზე საკრებულოსათვის წინადადებების მიწოდება.	თვეში ერთხელ	საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს აპარატი	
5	მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სხდომების მომზადება და ჩატარება	საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად საკრებულოს კომისიების სხდომების ჩატარება თვეში ორჯერ მაინც (საკრებულოში მოქმედებს 5 მუდმივმოქმედი კომისია)	თვეში ორჯერ	საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარეები	
6	მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა სხდომების ჩატარება	ფრაქციების წესდებათა შესაბამისად (საკრებულოში მოქმედებს 7 ფრაქცია)	პერიოდულად	საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები	

7	მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქალაქეთა მიღების ორგანიზება და ჩატარება	მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღება იწარმოებს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, ააუცილებლობის შემთხვევაში მოქალაქეთა მიღება იწარმოებს ყოველდღიურად	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები, ფრაქციის თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, საკრებულოს აპარატი	
8	შემოსული განცხადებების, საჩივრების, წინადადებების, წერილებისა და კორესპოდენციების რეგისტრაცია, შესაბამის სფეროზე და თანამდებობის პირზე გადამისამართება და შესრულების კონტროლზე აყვანა	შემოსული განცხადებებისა და კორესპოდენციების სისტემატიზაციას ახდენს საკრებულოს აპარატი საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს ბიუროს მითითების შესაბამისად	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს აპარატი	
9	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების თათბირების მოწვევა და ჩატარება	საკრებულოს წინაშე მდგომი აქტუალური საკითხების უკეთ გადაწყვეტის მიზნით სხვადასხვა სფეროს ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან პერიოდული შეხვედრა-თათბირები	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები	
10	საქართველოს პარლამენტში, მთავრობაში, სამინისტროებში და სხვა ორგანოებში გასაგზავნი აუცილებელი ინფრომაციის მომზადება და მიწოდება	აუცილებელ დოკუმენტს კანონის შესაბამისად ამზადებს და მის გაგზავნას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს აპარატი	
11	საჯარო ინფორმაციის მომზადება და კანონის შესაბამისად დაინტერესებულ პირებზე დროული გაცემა	საჯარო ინფორმაციას მოთხოვნის მიხედვით, კანონის შესაბამისად, ამზადებს და აგზავნის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი შესაბამისი მოხელე	
12	საკრებულოს სხდომებზე მისაღები დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტების საჯარო განხილვები	საკრებულოს სხდომებზე მისაღები დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტები, როგორც წესი, საჯაროდ განიხილება და ზუსტდება საკრებულოს ბიუროს სხდომამდე (წინასწარ დადგენილ დროს)	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს კომისიები	
13	მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომების ოქმების გაფორმება, პროექტების (დადგენილებების, განკარგულებების) სამართლებრივი გამართულობა, რედაქტირება და შესრულება	საკრებულოს მიერ მისაღები სამართლებრივი აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა	საანგარიშო პერიოდში	საკრებულო, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს აპარატი	

14	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, სამუშაო ჯგუფების, საკრებულოს თანამდებობის პირების, მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენა გაწეული საქმიანობის შესახებ და შეფასება	საკრებულოს ბიუროს მიერ შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად საკრებულოს სხდომებზე თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა და შეფასება	საანგარიშო პერიოდში	მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკრებულოს თავმჯდომარე,	
15	საკრებულოს წევრების შეხვედრები მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, ამომრჩევლებთან	შედგენილია და დამტკიცებულია საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოს წევრების ამომრჩევლებთან, მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკი	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები,	
16	საკრებულოს კომისიების წევრთა გასვლები მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში	საკრებულოს კომისიათა წევრები სისტემატიურად აწყობენ გასვლებს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მათი მუშაობის შესწავლის, შემოწმების, საქმიანობაში მონაწილეობის, დახმარების მიზნით.	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები, დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ებისა და შ.პ.ს.-ების ხელმძღვანელები	
17	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თავისუფალი არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების ზუსტი აღრიცხვა	აუცილებელია არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების ზუსტი აღრიცხვა, შესაბამისი ნუსხის გაკეთება, სადაც მითითებული იქნება მიწის ფართობის ადგილმდებარეობა, ზომები და სხვა პარამეტრები.	2018 წლის მაისი	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია, მერიის შესაბამისი სამსახურები	
18	თვითმმართველი ერთეულის ქონების განკერძოების პროგრამის შემუშავება, განხილვა და დამტკიცება	საკრებულოს შესაბამის კომისიებში მიმდინარეობს თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვა, დაზუსტება, განსაკერძოებელი ქონების გამოყოფა და განკერძოების პროგრამის შემუშავება	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების სარგებლობის კომისიები.	
19	მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაუგვიანეს თებერვლისა ეგზავნება შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში	მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და ისმენს შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, მუნიციპალიტეტის მერია	
20	მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში ეგზავნება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში განხილვისა და შემდგომი დამტკიცებისათვის	მუნიციპალიტეტის საკრებულო საზოგადოებრივ დარბაზთან ერთად, ასევე საკრებულოს კომისიები და ფრაქციები განიხილავენ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და დასკვნას წარუდგენენ საკრებულოს	საანგარიშო წლის არაუგვიანეს თებერვალი და არაუგვიანეს 1 მაისი	მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულო, საკრებულოს კომისიები და ფრაქციები, საკრებულოს აპარატი	

21	თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური დახმარების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა) გაცემაზე მონიტორინგი	სოციალურ საკითხთა კომისია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამზადებენ საკრებულოზე წარსადგენად პროექტს მოქალაქეთა სოციალური მომსახურების წესებისა და პირობების დადგენის შესახებ	მთელ საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია	
22	ქ. ოზურგეთის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა გატარება	მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის მიერ ქალაქის ტერიტორიაზე უბნების მიხედვით დასკვნების მომზადება ქ. ოზურგეთის განაშენიანების საკითხებზე, რაც შემდგომში გენერალური გეგმის ნაწილი გახდება	მთელ საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის და მერიის შესაბამისი სამსახური	
23	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამის შემუშავება და დამტკიცება	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და საყოფაცხოვრებო კომუნალურ სფეროში მიმდინარე სამუშაოებს განახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისია	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის და მერიის შესაბამისი სამსახური	
24	დასაქმების ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, განხილვა, დამტკიცება და განხორციელებაზე კონტროლი	საკრებულოს შესაბამისი კომისიების მიერ შესამუშავებელია: ა) საინფორმაციო ბაზის შექმნა; ბ) საინვესტიციო გარემოსათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; გ) დონორი ორგანიზაციების მოძიება; დ) საგრანტო განაცხადების მომზადება; ე) საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება, არსებული მოწინავე მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარება	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს კომისიები	
25	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (დროშა, გერბი) შემუშავებისა და დამტკიცებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა გატარება	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი კანონმდებლობის საფუძველზე შეარჩევს საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შესათანხმებელი გერბისა და დროშის ვარიანტებს, შესაბამისად დამტკიცდება მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა	II - III კვარტალი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	
26	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგი	წარმოებულ საქმიანობაზე ინფორმაციის სისტემატიურად მიღება, ანალიზი და შეფასება	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს კომისიები	

27	მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურდიული პირების საქმიანობის სისტემატური შესწავლა და კონტროლი	კერძო სამართლის იურდიული პირები, რომლებიც სუბსიდირებით ფინანსდებიან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს სისტემატურად წარუდგენენ საკრებულოს	საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს კომისიები	
28	თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა	მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადგილობრივი ბიუჯეტის პარალელურად განიხილავს მერიის მიერ წარმოდგენილ თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს და აზუსტებს შესაბამისობას ამ ორ დოკუმენტს შორის	საანგარიშო წლის 15 ნოემბერიდან	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, კომისიები და ფრაქციები	
29	თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიღება, განხილვა, დამტკიცება	კანონის შესაბამისად საბიუჯეტო წლის დასრულებამდე 45 დღით ადრე ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი შემოაქვს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს. საკრებულო განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების შესახებ	საანგარიშო წლის 15 ნოემბერი – 31 დეკემბერი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკრებულოს თავმჯდომარე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი	
30	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული, სპორტული, მასობრივი, პატრიოტული და სხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა, მომზადება ჩატარება	საკრებულო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული, სპორტული, მასობრივი, პატრიოტული და სხვა სახის ღონისძიებების, მომზადებასა და ჩატარებაზე კონტროლს უზრუნველყოფს სპეციალური გრაფიკით	საანგარიშო პერიოდში	მუნიციპალიტეტის საკრებულო	
31	მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება	დასაწყება საშუაოები ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით. შესამუშავებელია ტურისტული მარშრუტები	წლის განმავლობაში	საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია	
32	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება	დასაწყება ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოძიება და სისტემატიზაცია	საანგარიშო პერიოდში	მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის მერია	

33	საკრებულოს სხდომისათვის საკითხების მომზადება (საკითხის ინიცირება, დადგენილების, განკარგულების პროექტის მომზადება	საკითხის ინიცირების უფლების მქონე სუბიექტი კანონისა და რეგლამენტის შესაბამისად საკითხს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს შემდგომი პროცედურების განსასაზღვრად	საანგარიშო პერიოდში	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიები, ფრაქციები, წევრები და პეტიციის სახით რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%	
34	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საგრანტო პროგრამის ფარგლებში აუცილებელი საქმიანობის ორგანიზება	საკრებულოში მოქმედი საგრანტო პროგრამის ფარგლებში პროექტების მიღება, შესწავლა, გამარჯვებული პროექტის გამოვლენა, თანადაფინანსება და პროექტის განხორციელებაზე მონიტორინგი	მთელ საანგარიშო პერიოდში	საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია, მერიის შესაბამისი სამსახურები	
35	თვითმმართველი ერთეულის ზონებად დაყოფის შესახებ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა, მომზადება და შესაბამისი პროექტის საკრებულოსათვის წარდგენა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო, საკურორტო და სხვა) დაყოფის საკითხის წამოწევა ნაკარნახევია მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე კონცენტრირების აუცილებლობით	საანგარიშო პერიოდში	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია	